

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	53719
ბიზნეს სექტორი:	წარმოება და მომსახურება
გამოქვეყნების ტიპი:	კერძო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	B
საბჭოზე გატანის თარიღი:	2022 წლის 6 ივლისი
სტატუსი:	წარდგენილია დასამტკიცებლად
PSD-ს გამოქვეყნება:	2022 წლის 1 ივნისი

პროექტის აღწერა

25,000,000 აშშ დოლარამდე უზრუნველყოფილი სესხი სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისთვის („GHG“), რომელიც შედგება (i) 10,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ტრანშისგან, რომელიც გამოყენებული იქნება ბანკის მიერ მდგრადობის პროგრამის ("Resilience Framework" ან "RF") ფარგლებში გამოყოფილი სესხის ნაშთის რეფინანსირებისთვის; და (ii) 15,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ტრანშისგან, GHG-ის ფარმაცევტული ბიზნესის მინორიტარი აქციონერების წილის გამოსასყიდად.

პროექტის მიზნები

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული 10,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ტრანში გამოყენებული იქნება პანდემიაზე რეაგირებისთვის გამოყოფილი RF სესხის ნაშთის რეფინანსირებისთვის; RF სესხის თავდაპირველი მიზნობრიობა გათვალისწინებული იყო მოკლევადიანი საბრუნავი კაპიტალის და კრიტიკული კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც აუცილებელი იყო GHG-ს მნიშვნელოვანი როლისთვის COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში. შემოთავაზებული ტრანზაქციით მოხდება RF სესხის იმ კაპიტალური ხარჯების წილის რეფინანსირება, რომელიც შეესაბამება GHG-ის მიერ განხორციელებული კაპიტალური დანახარჯების გრძელვადიანი ხასიათს. პროექტის ფარგლებში 15,000,000 აშშ დოლარი მოხმარდება GHG-ს ფარმაცევტული ბიზნესის სს „გეფა“-ს მინორიტარი აქციონერების წილის ნაწილობრივ გამოსყიდვას.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი ეფუძნება კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიურობის მახასიათებლებს.

კონკურენტუნარიანობის ფარგლებში, პროექტი განაპირობებს უკეთესი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურებას კლიენტის ყველა შესაბამის დაწესებულებაში. ეს მოხდება ანტიმიკრობული რესისტენტულობის (AMR) შემცირებისა და პრევენციის პრაქტიკის გაუმჯობესებით.

ინკლუზიურობის ფარგლებში, პროექტი განავითარებს შიდა სერტიფიკაციის მქონე პროგრამებს, რომლებიც გააუმჯობესებენ წვდომას სტაციონარული მკურნალობის სპეციალიზირებულ ჯანდაცვის უნარებზე, სექტორში უნარების აქტუალური და სიცოცხლისთვის სახიფათო ხარვეზების აღმოსაფხვრელად. საქართველოს სამედიცინო პროფესიონალთა შესაძლებლობების გაფართოების გარდა, ახალი სატრენინგო პროგრამები აამაღლებენ მკურნალობის სტანდარტებს. ამის გარდა, პროექტი შექმნის საჯარო-კერძო პარტნიორობის პლატფორმას, რომელიც იქნება მიმართული საქართველოს ჯანდაცვის სამუშაო რესურსის გაძლიერებისკენ და განახლებისკენ. ეს განხორციელდება ინვესტორთა საბჭოს, ჯანდაცვის მიმწოდებლებსა და შესაბამის საჯარო უწყებებთან ერთად.

კლიენტების შესახებ ინფორმაცია

სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება და წარმოადგენს უმსხვილეს ჯანდაცვის ჯგუფს, რომელიც ოპერირებს ღრმადინტეგრირებული ბიზნეს მოდელით, მოიცავს ჰოსპიტლებს, კლინიკებს, ფარმაცოლოგიას, სამედიცინო დაზღვევას და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას.

EBRD-ს დაფინანსების შეჯამება

25,000,000.00 აშშ დოლარი

პროექტის მთლიანი ღირებულება

25,000,000.00 აშშ დოლარი

დამატებითი ფასეულობა

EBRD-ს დამატებითი ფასეულობა მომდინარეობს ისეთი ფინანსირების შეთავაზებისგან, რომელსაც ბაზარზე არ აქვს კომერციული წყაროებისგან შეთავაზებული საპირწონე პირობები. დამატებით ფასეულობას ასევე ქმნის

კლიენტის დახმარება უფრო მაღალი თანასწორი შესაძლებლობების სტანდარტის მიღწევაში, ასევე უკეთესი ენერგო და სარესურსო ეფექტიანობის, და კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეჯამება

B კატეგორია (2019 წლის შეფასებით). „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (GHG) და „ევექსი ჰოსპიტლები“ (ევექსი) ბანკის ამჟამინდელი კლიენტები არიან. მათი წინა პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი მაჩვენებლები დღემდე დამაკმაყოფილებელია. ახალი პროექტისთვის, EBRD-ს გარემოს დაცვის და მდგრადობის დეპარტამენტმა (ESD) შეისწავლა 2020 წლის აპრილის გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი ასპექტების შემსწავლელი კითხვარი (ESDD). ამის გარდა, 2021 წლის დეკემბერში, ESD-მ შეამოწმა GHG-ს გარემოს დაცვის წლიური ანგარიში. ბანკის დაფინანსებით GHG-ს ჰოსპიტალში ბოლო სამონიტორინგო ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის ოქტომბერში, ჰოსპიტლის ტექნიკური აუდიტის შემდეგ, და ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის რისკის მართვის (AMR) სამუშაო შეხვედრის პარალელურად. აღნიშნული პროექტისთვის, ESD-მ განახორციელა გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი ასპექტების კომპლექსური შეფასება (ESDD) და განიხილა კლიენტთან განხორციელებული წინა პროექტების არსებული გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი სამოქმედო გეგმის (ESAP) მდგომარეობა.

ESDD-მ აჩვენა რომ GHG-ს შესწევს უნარი განახორციელოს აღნიშნული პროექტი EBRD-ს გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად. ESD-მ შეიმუშავა განახლებული ESAP-ი, რომელზეც კლიენტმა უნდა განაცხადოს თანხმობა საბჭოს შეხვედრამდე. GHG ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის EBRD-ს გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობა, განახლებული ESAP-ის ქმედებაში მოყვანა, ასევე გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი წლიური ანგარიშის ბანკისთვის წარდგენა.

განახლებული და დეტალური ESAP ასახავს ჯანდაცვის სფეროსთვის სპეციფიურ ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების ზომებს, როგორც პაციენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ამის გარდა, ESAP-ში აღწერილია არსებული ზომების დანერგვის მიმდინარეობა, პროექტის კონტექსტი და პანდემიასთან დაკავშირებული ზომები, რომლებიც ჯანდაცვის ობიექტებისთვის დღემდე ძალაშია. სამოქმედო გეგმაში ასევე შედის ადამიანური რესურსების (HR) და შრომის უსაფრთხოების (OHS) მართვა, შენობის სახანძრო უსაფრთხოების მართვა, ეკოლოგიური რისკის მართვა (სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების ჩათვლით), პაციენტთა უფლებების პატივისცემა და AMR რისკის მართვა (სტაციონარში ინფექციის გავრცელების პრევენციის, კონტროლის, ანტიბიოტიკების კონტროლის, ლაბორატორიის შესაძლებლობების განვითარების და შესაბამისი მეთვალყურეობის ჩათვლით).

უახლოეს თვეებში იგეგმება, 2019 წლის AMR აუდიტზე დაყრდნობით, GHG-ს AMR საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ონლაინ მონიტორინგი და შესაბამისი ტრენინგი. მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზებისთვის დამატებით შეიქმნება შუალედური ელექტრონული სწავლების ტრენინგის სქემა. ეს ზომები

ასახულია ზემოთ ხსენებულ ESAP-ში. ბანკი გააგრძელებს მონიტორინგის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი წლიური ანგარიშის მიმოხილვას და საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ ვიზიტს.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ქეთევან კალანდარიშვილი

kkalandarishvili@ghg.com.ge

+995322550505

+995322550505

www.ghg.com.ge

142 ბელიაშვილის ქუჩა, თბილისი, 0159, საქართველო

შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#).

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის

განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ

კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები

საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების

მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების

მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP-ში](#).

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა](#) და [ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ [პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს](#), IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა [წარადგინოთ მოთხოვნა](#) განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.